პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980 წელი
ოთხშაბათი
20 თებერვალი
№ 42 (17685)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ისინი პირველად მისხდევენ სკოლას

ამ სურათზე აღბეჭდილი არიან მანველები (საგარეჯო) მეორეკლასელი ბიჭი ... შვილი ... რომელიც, საბჭოთა მეურვეობის წყალობით, ... სკოლაში. სკოლის დირექტორის შემდეგ ისინი მშობლიურ სოფელ მანავში დარჩნენ და ახლა საგანგებოდ სამუშაოებისათვის ემზადებიან, სალამოობით აგიტპუნქტში მოდიან ეხმარებიან აგიტატორებს. ისინი წელს პირველად მიიღებენ მონაწილეობას არჩევნებში.

ი. დავითაშვილის ფოტო. (საინფორმის ფოტოქრონიკა).

საარჩიულო განაცხადები სახალხო კონტროლიორებს

ბრძა მილიონზე მეტ კაცს აერთიანებს ჩვენს ქვეყანაში სახალხო კონტროლის საგუშაგოები, ჯგუფები და კომიტეტები. საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ამ უაღრესად საპატრო ორგანოს სახელმწიფო საქმეთა მართვაში მზრდელთა ჩაბმის სკოლის მზარდი მნიშვნელობა ისახა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალ დადგენილებაში „სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კანონის მიღებასთან დაკავშირებით მათდამი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

სახალხო კონტროლიორებმა პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების შემოწმების, სახალხო-სამეურნეო გეგმების რეალიზაციის საკმაო გამოცდილება შეიძინეს. აქტიურად მონაწილეობენ წარმოების რეზერვების ძიებაში, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებისათვის ბრძოლაში, სახალხო კონტროლიორებს შესამჩნევი წვლილი აქვთ ხუთწლედის დავალებათა, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. მაგალითად, ბელორუსიის სახალხო კონტროლიორებმა ბევრი საქმიანი წინადადება წამოაყენეს მსუბუქი მრეწველობის მთელ რიგ საწარმოებში წარმოების სრულყოფის შესახებ, რამაც ხელი შეუწყო 114 მილიონი მანეთის ზედმეტი ხარჯების გამოშვებას. ბრიანსკის ოლქის სახალხო კონტროლიორთა გულმოდგინე მეცადინეობით სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მოექცა დამატებით ორი ათასამდე ჰექტარი მიწა. ბევრი კარგი საქმეა ქვეყნის სხვა რესპუბლიკებსა და ოლქებში მოქმედი ახალგაზრდების ანგარიშზე.

ამავე დროს, აღნიშნულია დადგენილებაში, სახალხო კონტროლის ორგანოები ყოველთვის როდი უთანხმებენ საქმიანობის დონის ამაღლებისა და სახელმწიფო გეგმების შესრულების საკვანძო საკითხების გადაწყვეტას. რიგ შემთხვევებში ორგანოებიან დარღვევებსა და თანამდებობის პირებისადმი დაუფიქრებელ, უყურადღებობასა და მფლანგველობის ფაქტებს. აფხაზეთის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტი, მაგალითად, საკმაოდ ბევრ შემოწმებას აწყობს. მაგრამ ხშირად ისინი წვრილმეთმანი, ზერელე და ეპიზოდურად ნაკლებეფექტიანია. ისეთ დიდმნიშვნელოვან პრობლემებს, როგორიც არის საწარმოო სიმძლავრეთა და მიწის გამოყენება, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვა, მართვის ავტომატიზაციის მუშაობის სრულყოფა, სახალხო კონტროლიორები დიდ ყურადღებას არ უთმობენ. ხდება ხოლმე, რომ კომიტეტი შემწყალებლად ეწდება სერიოზული დარღვევების ჩაშვდენთ. ამგვარი მიდგომა დასახიათებელია ბაბაროვსკის სახალხო კონტროლის სამხარეო კომიტეტისთვისაც. მისი ხელმძღვანელები სუსტად იყენებენ ახალი ორგანოთა მინიჭებულ უფლებებს.

სახალხო კონტროლის ყველა რგოლის მუშაობას საფუძვლად უნდა ედოს მაღალი მომთხოვნელობა და აქტიურობა. ისინი გულდასმით უნდა გაერკვნენ დარღვევათა მიზეზებში, ობიექტურად და პრინციპულად განიხილონ შემოწმების მასალები, მიაღწიონ ნაკლოვანებათა გამოსწორებას. თითოეული კომიტეტის ღირსების საქმეა

ПРАВДА
30 თებერვლის მოწინავე

1980
24
თებერვალი
საბჭოების არჩევნების დღეა

ლენინის ანდერძის ერთგულება

ამომრჩეველთა შეხვედრა გ. ნ. ენუქიძესთან

საქართველოს ეწარმოებლების, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანის, მონოლითური შეკავშირება მშობლიური ლენინური პარტიის გარშემო, მთელი ძალების მობილიზაცია კომუნისტური მშენებლობაში ახალ წარმატებათა მისაღწევად — ასეთია სოციალისტური დემოკრატიის მოახლოებული ზეიმის დამახასიათებელი ნიშნები. პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჭალარა თბილისის ორმოხუთის რაიონის № 69 უნივერსიტეტის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა თავიანთ დეპუტატობის კანდიდატთან — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან გურამ ნინოლოზის ძე ენუქიძესთან. შეხვედრა 15 თებერვალს გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმო დარბაზში.

საარჩევნო კრება შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააღრიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანმა რ. შ. ჭოტიძემ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ წლევანდელი საარჩევნო კამპანიის მთელი მიმდინარეობა ჩვენს ქვეყანაში ნამდვილი სახალხო ხელისუფლების დამაჯერებელი დადასტურებაა. არჩევნების რომ ეგებებიან, ოლქის მშრომელები აცხადებენ, რომ ერთსულოვნად უჭერენ მხარს და მხურვალედ უწონებენ კომუნისტური პარტიის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

კრების მონაწილეებმა დიდი აღმავლობით აირჩიეს სამუშაო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბენეფიციარული მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილმა პირმა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ჭავჭავაძის სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგემ, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მ. თ. ბაშელეიშვილმა შეკრებილთ გააცნო ვ. ნ. ენუქიძის ბიოგრაფია. მან იღაპარაკა მის შრომითსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაზე, რომლის მიზანია კულტურული მშენებლობის ამოცანათა წარმატებით შესრულება, იმ წვლილზე, რომელიც დეპუტატობის კანდიდატმა შეიტანა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დირექტივების განხორციელებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმისა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებები, პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა იმ საიმედო და უტყუარ ორიენტირად იქცა, რომელმაც საბჭოთა ხალხს, მთელ პარტიას განუსაზღვრა 1980 წლისა და მთელი ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულება, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა აღსრულების დიადი მიზანდასახულობანი.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები ამ არჩევნებზეც უპატაკებენ კომუნისტური პარტიის, მთელ საბჭოთა ქვეყანას ახალ-ახალ შრომითს მიღწევებს, აღუთქვამენ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ საქმით უპასუხებენ პარტიისა და სახელმწიფოს ღირსეულად. შეხვედრებიან სკკპ XXVI ყრილობას. არასოდეს არ ყოფილა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკა ისეთი ძლიერი და წელგამართული, როგორიც დღესაა; არასოდეს არ ჰქონია ხალხის შრომითს და შემოქმედებით შემართებას ისეთი გასაქანი და ფართო სარბიელი, როგორიც დღესა აქვს; არასოდეს არ უშრომია და უმოღვაწია მამულიშვილს ისეთი რწმენით, გულდაჯერებით, საკუთარი ღირსების შეგნებით, როგორითაც დღეს ირჯება და იღვწის. და ეს არის შედეგი პარტიისა და ხალხის მჭიდროდ შეკავშირებული, ურღვევი ერთიანობისა, ბრძნული ლენინური პოლიტიკის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდისა და სრულყოფის, საბჭოთა ადამიანის მაღალი შემოქმედებითი აქტივობის, მისი ზნეობრივი სიწმინდის, სულიერი სიმდიდრის, ინტერნაციონალიზმისა და სოციალისტური პატრიოტიზმის ნათელი გამოვლინება.

ორატორმა ყურადღება გაამახვილა საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის ლენინური პოლიტიკის ისტორიულ მნიშვნელობაზე, რომელიც ხელმძღვანელობისა და სტრატეგიული ხაზის სისწორეში დაარწმუნა მთელი მსოფლიო. ამ პოლიტიკის ნათელ ნაყოფთა შორის ორატორმა დაასახელა ის ისტორიული ცვლილებები, რომლებიც მოხდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალში, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაში, ეროვნული ეკონომიკის ყველა დარგის ინტენსიური განვითარების საქმეში, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში, საბჭოთა ხალხის ინტერნაციონალური ერთიანობის, ეროვნული კულტურების აყვავების საქმეში.

„ჩვენ მოვალეთ ვეპასუხოთ ამ მოწოდებისადმი ერთსულოვანი მხარდაჭერით, ჩვენ ვალდებულნი ვართ ყველა ძალა და ენერგია მივუძღვნათ ლენინური ანდერძის ერთგულად აღსრულებას

ქართული პოეზია ფრანგულ ენაზე

გამოიცემოლია „საბჭოთა საქართველოში“ ფრანგულ ენაზე გამოსცა „ქართული პოეზიის კლასიკოსთა ანთოლოგია“. მასში შემდგენელი და მთარგმნელი პოეტი ტატიანა ავალიანი...

ტომი მოცულობით დიდი არაა, მაგრამ მასში თავმოყრილია ქართული პოეზიის შედევრები მე-12 საუკუნიდან ჩვენს დრომდე. ანთოლოგიაში შევიდა სამი ნაწყვეტი „ვეფხისტყაოსნიდან“: „ანდერძი ავთანდილისა“, რომელიც შეიცავს მეფის წინაშე ოდეს წაიპარა“, „წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი“, და „ამბავი ნურადინ-ფრიდონისა ოდეს ტარიელს შეიყარა“. შემდეგ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით მოცემულია თემურაზ პირველის, იოსებ თბილელის, დავით გურამიშვილის, ბესიკის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ვახტანგ ორბელიანის და სხვების ლექსები.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება წარმოდგენილია ათი ლირიკული ლექსით, ესენია: „მერანი“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ფიქრი მტკვრის პირას“ და სხვები. ანთოლოგიაში მთლიანად არის შეტანილი ი. ჭავჭავაძის პოემა „გაზნდეგილი“ და მთელი რიგი მისი ლირიკული ლექსები. ფრანგი მკითხველი გაეცნობა აგრეთვე წერეთლის პოემა „გამზრდელს“, მის ლირიკულ ლექსს „სულიკოს“ და სხვა ნაწარმოებებს. ანთოლოგიაში დაბეჭდილია აგრეთვე ვაჟა-ფშაველას პოემა „სტუმარ-მასპინძელი“.

ქრებულში შეტანილია გამოჩენილი საბჭოთა პოეტების — ალექსანდრე აბაშელის, იოსებ გრიშაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ალიო მირცხულავას, ლადო ასათიანისა და სხვების ნაწარმოებთა თარგმანები.

ქრებულში შესულია აგრეთვე ქართული ფოლკლორის ნიმუშები: „ამირანი“, „თავფარავნელი ჰაბუკი“, „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“.

ჯილდო—ღიმილი და ყვავილები

ყვავილები და ბავშვების ღიმილი გახდა საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სასახლისა და მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის მიერ მოწყობილი ინტერნაციონალური შეგობრობის საღამოს მონაწილეთა ჯილდო. საღამოში, რომელიც გაიმართა დეკემბრის „შეგობრება“ და ხიდად“, მონაწილეობდნენ ბულგარელი, ვიეტნამელი და ჩეხოსლოვაკიელი ახალგაზრდობის წარმომადგენლები, რომლებიც თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ.

საღამოს გახსნისას მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ნონეშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა უმაღლეს სკოლაში ახალგაზრდები არა მარტო ეუფლებიან მეცნიერულ ცოდნას, არამედ აგრეთვე იზრდებიან ხალხთა ლენინური მეგობრობის ტრადიციების სულისკვეთებით.

სტუდენტებს მიესალმნენ პროფკავშირთა სასახლის მხატვრული ხელმძღვანელი ზ. ასლამაზოშვილი, პოეტი ო. შალამბერიძე.

საღამოზე საინტერესო საკონცერტო პროგრამა წარმოადგინეს საბავშვო და ახალგაზრდული თვითმოქმედი ცეკვის კოლექტივებმა.

გულთბილი შეხვედრისათვის დამსწრეთ მადლობა გადაუხადეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტებმა ნკუენ კუი მაოშ (ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა) და მიხაილ ჯაუკიჩმა (ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა), საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტმა ტოდორ ჭიხაიოვმა და თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა გიორგი არბოვმა (ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა).

საქართველოს სტუმარი

18 თებერვალს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ მიიღო ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ჰ. ჰამიდი, რომელიც მოგზაურობს ამიერკავკასიაში.

საუბრის დროს ვ. მ. სირაძემ სტუმარს გააცნო საქართველოს სსრ რესპუბლიკის წარმატებანი საზოგადოებრივი, პოლიტიკური ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

ჰ. ჰამიდმა აღნიშნა, რომ ქართველი ხალხის მიღწევები დამკვირებლად მოწმობს განთავისუფლებული. შრომის აღმშენებლობის ძალას და განვითარების სოციალისტური გზის სწორ არჩევანს.

იმავე დღეს გაიმართა ჰ. ჰამიდის საუბარი თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილესთან ბ. ე. სარალიძესთან.

სსრ კავშირში ბანგლადეშის დროებითი საქმეთა რწმუნებული ეცნობოდა საქართველოს დედაქალაქს. იგი ესტუმრა ხელოვნების მუზეუმს, დაათვალიერა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, დაესწრო სპექტაკლ „ქეთო და კოტეს“ ფაღალიშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში, ანსამბლ „იგერიის“ კონცერტს, ეწვია პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს.

„მეგობრობის თეატრი“ გვიწვევს

უკვე ყველასთვის ცნობილია, თუ რა ეროვნულ-ისტორიულ საქმეს ემსახურება საქართველოს თეატრალური საზოგადოებასთან არსებული „მეგობრობის თეატრი“. ამ თეატრის შესანიშნავი თეატრალური კოლექტივი და ყველაფერი შესრულებული გააცნო მან რესპუბლიკის მშრომელებს.

— ახალ, მეშვიდე სეზონს, — თქვა „კომუნისტის“ კორესპონდენტს „მეგობრობის თეატრის“ დირექტორმა მ. ჯოჯუამ, — ვიწყებთ, რომ რუსთაველის თეატრი ჩაგვყავს მოძმე უკრაინის დედაქალაქ კიევში. ინსტიტუტში ბრწყინვალე გამოსვლების შემდეგ რუსთაველელები 21-დან 26 თებერვლამდე უკრაინელი მაყურებლის წინაშე წარდგებიან გახმაურებული სპექტაკლით „ვაჟკაცური ცარცის წრე“.

მარტში შემოქმედებითი საღამოს გასამართავად მოვიწვიეთ სსრ კავშირის სახალხო არტისტს, ლენინგრადის გორკის სახელობის დიდი დრამატული თეატრის მსახიობს ე. ლებედევს, ხოლო ნოემბერ-დეკემბერში ველით სცენის ოსტატებს ტაშკენტის ხამზის სახელობის აკადემიური თეატრიდან.

წლევანდელ სეზონს დაამთავრებს ლენინგრადის მინიატურების თეატრი სსრ კავშირის სახალხო არტისტის ა. რაიკინის მონაწილეობით.

მოსკოვის „მალაია ბრონაიას“ თეატრის მსახიობი ლ. დუროვი, მაისში კი 105 კაცის შემადგენლობით სიგასტროლოდ ჩამოვა მოსკოვის ე. ვახტანგოვის სახელობის თეატრი.

არანაკლებ საინტერესო იქნება „სოვრემენნიკის“ გასტროლები, რომლიც 27 მაისიდან 7 ივნისამდე არის დაგეგმილი. ივლისში ისევ მოსკოველ სცენის ოსტატებს — ამჯერად მაიაკოვსკის სახელობის აკადემიურ თეატრს ესტუმრებათ. თვით უწვრილესი ბუსუსიც საკმარისია იმის დასადგენად, აქვს თუ არა ადამიანს კავშირი ამა თუ იმ სივრცესთან. ამას კონტაქტური ექსპერტიზა ეწოდება.

...ჩვენს წინაშეა ოთხი წერილი. მათი ავტორები ემუქრებიან მაიაკოვსკის რაიონის ერთ-ერთ მცხოვრებს. გამომძალველებს მისგან დიდ ფულად თანხას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში სკვდილს უქადიან. ოთხი ფურცელი ქაღალდი სხვადასხვა ხელითაა დაწერილი. ერთ-ერთ მათგანზე ასოები სწორადაა ჩამწკრივებული, მეორე ფურცელი დაუდევარი ხელითაა ნაწერი, მესამე — ბატისფეხუნით... და მაინც ოთხივე ფურცელი ერთი ადამიანის დაწერილია! ამ დასკვნამდე მივიდა ხელწერის მცოდნე ექსპერტი მ. ჯოჯუაძე. ერთ-ერთ ექვმიტანილს —ავთანდილ ტ.-ს ამ უცილობელი სამხილის გამო დანაშაულის აღიარების გარდა სხვა არაფერი დარჩენოდა.

სონტაქტური და ხელწერის მცოდნე ექსპერტიზები კრიმინალისტური გამოკვლევების მრავალთაგან მხოლოდ ორი სახეობაა, რასაც აწარმოებენ რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში.

ლაბორატორიის გაცნობა ბალისტიკურ-ტრასოლოგიური ი მაღალი კულტურისა და ქანონიერების დაცვისათვის.

დიდი ყურადღება დაეთმო არასრულწლოვანთა შორის დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხებს. მეორე საშუალო სკოლაში მოეწყო ლიტერატურის საღამო ვაჟა-ფშაველას 125 წლისთავის საღამოზე თემაზე — „ადათ-ჩვეულება და კანონი“. კომკავშირის რაიონულ კომიტეტში შეხვედრენ ძნელად აღსაზრდელ მოსწავლეებს, 26 მოსწავლეს დაენიშნა საზოგადოებრივი აღმზრდელი.

აღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად გამოვლინდა 2 უნებართვო მშენებელი, ათობით სპეკულანტი და ეკრძო მრეწველი, სპასპორტო რეჟიმის 35 დამრღვევი, აღიკვეთა ქურდობისა და ავტომანქანის გატაცების შემთხვევები, ჩამორთმეულია რამდენიმე ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი...

ერთი სიტყვით, დეკადის მოწყობით ფრიად სასარგებლო საქმეებს ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ ყველასათვის ცნობილია ის ფაქტიც, რომ თვეში სამი დეკადაა და მარტო ერთი დეკადა საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ამინდს ვერ შეაქმნის.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ავბედითი გასროლა

ერაერთხელ დაიწერა ჩვენს გაზეთში ცეცხლსროლელი იარაღის და. კერძოდ, სანადირო თოფების შენახვის, მოვლა-პატრონობის წესების დარღვევებზე, ისეთ ფაქტებზე, რაც დაუდევრად, უმეთვალყურეოდ მიტოვებული თოფები ხელში უვარდებათ მოზარდებს, რის გამოც ხშირია უბედური შემთხვევები. მაგრამ, სამწუხაროდ, კვლავ გვიხდება ლაპარაკი ამ არასახიამოვნო თემაზე, რადგან ზოგან ოჯახები, იარაღის მფლობელები და მშობლები ჯერ კიდევ უმეთვალყუროდ, სათანადო წესების დაუცველად ინახავენ სანადირო თოფებს.

როგორც ჩანს, ამ მდგომარეობას არც ადგილობრივი საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოები, საბჭოების დეპუტატები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საურდენი პუნქტები აქცევენ ყურადღებას. რატომღაც ჯერ კიდევ ვერ შეეძელით დაგვენერგა ფართო საზოგადოებრიობის მიერ მოწონებული წინადადება, რომ მოძმე სოციალისტური ქვეყნების მაგალითისამებრ უფრო მკაცრი კონტროლი დაგვეწესებინა სანადირო თოფების შენახვისადმი, მიგვეღწია, რომ მოზარდებისათვის ხელმიუწვდომელი ყოფილიყო ცეცხლსროლელი იარაღი.

სწორედ ამიტომ ამ წერილში კვლავ გვიხდება საუბარი დანაშაულობებზე, რომლებიც უმეთვალყუროდ მიტოვებული თოფებით მოხდა.

იმ დღეს ქობულეთელ ალი მეგრელიძის ვაჟმა, თორმეტი წლის ნუგზარმა მამის სანადირო თოფი ეკლოდან ჩამოხსნა და სათამაშოდ ეზოში გავიდა, სადაც მისი ქბილა ბიძაშვილი ნუკრი მეგრელიძე ელოდებოდა.

გაჩაღდა თოფობანას თამაში და სწორედ ამ მომენტში მოხდა მოულოდნელი რამ — ბრმა ტყვიამ ნ. მეგრელიძე იმსხვერპლა.

შეიძლებოდა ეს ტრაგიკული შემთხვევა გაზეთის ფურცლებზე არ გამოგვეტანა და მეგრელიძეების ოჯახისათვის სატკივარი არ გაგვეორკეცებინა, მაგრამ ძალიან გვაფიქრებს, რომ უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში გახშირდა სანადირო თოფის შემთხვევითი გასროლით მოზარდთა დაღუპვის ფაქტები.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ზოგიერთი მოქალაქე უდიერად ეკიდება სანადირო თოფის შენახვას, არ იცავს სათანადო წესებს. როგორც ჩანს, ბევრს ავიწყდება, რომ ცეცხლსასროლი იარაღის მოვლა-შენახვის წესდება მის მფლობელს მკაცრ მოთხოვნას უყენებს, კერძოდ, ავალებს, რომ იქ, სადაც ბავშვს თოფზე ხელი მიუწვდება, იარაღი უნდა ინახებოდეს დაშლილი, წინააღმდეგ შემთხვევაში მფლობელს იგი ჩამოერთმევა.

სწორედ ამ მოთხოვნის დარღვევა გახდა იმ უბედური შემთხვევის მიზეზი, რომელიც ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდში დღისით-მზისით დატრიალდა. როცა უფროსები შინ არ იყვნენ, ნოჯიხევის პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ, არასრულწლოვანმა ენვერ ელგუჯას ძე გოგოლაძემ სანადირო თოფი ეზოში გამოიტანა და ჩხიკინი დაუწყო. მოზარდი გაერთო თოფის თამაშით, შემთხვევით გამოჰკრა სასხლეტს და... გასროლა საბედისწეროო აღმოჩნდა — ტყვია გზაზე მიმავალ ნ. შუბითიძეს მოხვდა, რომელიც გარდაიცვალა.

აი კიდევ ერთი ამაღელვებელი და საგანგებო შემთხვევა, რომელიც მცხეთის რაიონის სოფელ ძველი ქანდის ტყეში მოხდა.

ქანდის საშუალო სკოლის მეათეკლასელმა მურმან სიმონის ძე პავლიევმა და რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სარემონტო ქანტორის მუშამ ვალერიან ვასილის ძე ხოშტარიამ ნადირობა გადაწყვიტეს და თან წაიყვანეს მესამე კლასის მოსწავლე ცხრა წლის ზაზა შოთას ძე ილიაევი.

ატყდა ტყეში ბათქაბუთქი; უთავბოლოდ ნასროლი ტყვია პატარა ზაზას მოხვდა და იქვე გარდაიცვალა.

ცხადია, ასეთი სამწუხარო ფაქტები არ მოხდებოდა, სანადირო თოფები რომ წესისამებრ ყოფილიყო შენახული და ბავშვებს სათამაშოდ არ გაეხადათ ისინი.

და ბოლოს, გვინდა ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელებს, ვისაც შინ ყმაწვილები ჰყავთ, კიდევ ერთხელ ვუთხრათ (ვინ იცის მერამდენჯერ!) — გახსოვდეთ ხალხური ნათქვამი, რომ თოფის ლულაში ეშმაკი იმალება, ამიტომ ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ მასზე ბავშვებს ხელი არ მიუწვდებოდეთ. ყველაფერი ვიღონოთ იმისათვის, რომ გავუფრთხილდეთ და დავიცვათ მოზარდთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

გ. გვაძაბია,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსი ინსპექტორი.

სურათზე: კალინინის რაიონის სახალხო რაზმელთა შტაბის წევრები თ. ნანუაშვილი და ბ. გონაშვილი ჭუჩის გადასასვლელზე მიაცილებენ ბებიასა და შვილიშვილებს.

ჯ. ლომაძის ფოტო.

საგუშაგოზე არიან რაზმელები

შარშან 25 ათასით გაიზარდა საქართველოს სახალხო რაზმელთა არმია. ეს ციფრი დაასახელეს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელთა რესპუბლიკური შტაბის სხდომაზე, რომელმაც შტაბის უფროსის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ო. ე. ჩერქეზიშ თავმჯდომარეობით განიხილა რაზმელთა გასული წლის საქმიანობის შედეგები.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ვ. შადორის მოხსენებაში, სხდომის მონაწილეთა ყურადღებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელების საქმიანობა შესამჩნევად გააქტიურდა, გაუმჯობესდა მათი ურთიერთმოქმედება სამართალდამცავ ორგანოებთან, ამაღლდა სამართალდარღვევათა და დანაშაულობათა აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის მუშაობის ეფექტიანობა. კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს ქრძოდ, ქალაქების თბილისის, სოხუმის, გორის, ზუგდიდის, ტყვარჩელის; დუშეთის, ჯასპის, ახალციხის, ამბროლაურის, ლაგოდეხის, ვანის, თერჯოლისა და სხვა რაიონების რაზმელებმა.

საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში დიდი წვლილი შეიქვთ სპეკულაციასა და სოციალისტური საკუთრების დატაცებასთან, ხულიგნობასთან, მყიდველთა მოტყუებასთან, ქრძომიწარმეობასთან და სხვა დანაშაულობებთან ბრძოლის ახლახან შექმნილ სპეციალურ ნებაყოფლობით სახალხო რაზმელებში ნებაყოფლობით სახალხო რაზმელებს. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ არასრულწლოვნებსა და ახალგაზრდებს. შორის სამართალდარღვევათა და დანაშაულობათა თავიდან აცილებას. ამ მიზნით შეიქმნა მრავალი სპეციალური რაზმი, რომელთაც დაახლოებით 9 ათას კომკავშირელს აერთიანებს.

ამასთან სხდომის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკაში ოპერატიული ვითარების გაუმჯობესების მიუხედავად, მთელ რიგ რაიონებსა და ქალაქებში მოსკოვის „მალაია ბრონაიას“ თეატრის მსახიობი ლ. დუროვი, მაისში კი 105 კაცის შემადგენლობით სიგასტროლოდ ჩამოვა მოსკოვის ე. ვახტანგოვის სახელობის თეატრი.

არანაკლებ საინტერესო იქნება „სოვრემენნიკის“ გასტროლები, რომელიც 27 მაისიდან 7 ივნისამდე არის დაგეგმილი. ივლისში ისევ მოსკოველ სცენის ოსტატებს — ამჯერად მაიაკოვსკის სახელობის აკადემიურ თეატრს ესტუმრებათ. თვით უწვრილესი ბუსუსიც საკმარისია იმის დასადგენად, აქვს თუ არა ადამიანს კავშირი ამა თუ იმ სივრცესთან. ამას კონტაქტური ექსპერტიზა ეწოდება.

...ჩვენს წინაშეა ოთხი წერილი. მათი ავტორები ემუქრებიან მაიაკოვსკის რაიონის ერთ-ერთ მცხოვრებს. გამომძალველებს მისგან დიდ ფულად თანხას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილს უქადიან. ოთხი ფურცელი ქაღალდი სხვადასხვა ხელითაა დაწერილი. ერთ-ერთ მათგანზე ასოები სწორადაა ჩამწკრივებული, მეორე ფურცელი დაუდევარი ხელითაა ნაწერი, მესამე — ბატისფეხუნით... და მაინც ოთხივე ფურცელი ერთი ადამიანის დაწერილია! ამ დასკვნამდე მივიდა ხელწერის მცოდნე ექსპერტი მ. ჯოჯუაძე. ერთ-ერთ ექვმიტანილს —ავთანდილ ტ.-ს ამ უცილობელი სამხილის გამო დანაშაულის აღიარების გარდა სხვა არაფერი დარჩენოდა.

სონტაქტური და ხელწერის მცოდნე ექსპერტიზები კრიმინალისტური გამოკვლევების მრავალთაგან მხოლოდ ორი სახეობაა, რასაც აწარმოებენ რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში.

ლაბორატორიის გაცნობა ბალისტიკურ-ტრასოლოგიური ი მაღალი კულტურისა და ქანონიერების დაცვისათვის.

დიდი ყურადღება დაეთმო არასრულწლოვანთა შორის დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხებს. მეორე საშუალო სკოლაში მოეწყო ლიტერატურის საღამო ვაჟა-ფშაველას 125 წლისთავის საღამოზე თემაზე — „ადათ-ჩვეულება და კანონი“. კომკავშირის რაიონულ კომიტეტში შეხვედრენ ძნელად აღსაზრდელ მოსწავლეებს, 26 მოსწავლეს დაენიშნა საზოგადოებრივი აღმზრდელი.

აღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად გამოვლინდა 2 უნებართვო მშენებელი, ათობით სპეკულანტი და ეკრძო მრეწველი, სპასპორტო რეჟიმის 35 დამრღვევი, აღიკვეთა ქურდობისა და ავტომანქანის გატაცების შემთხვევები, ჩამორთმეულია რამდენიმე ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი...

ერთი სიტყვით, დეკადის მოწყობით ფრიად სასარგებლო საქმეებს ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ ყველასათვის ცნობილია ის ფაქტიც, რომ თვეში სამი დეკადაა და მარტო ერთი დეკადა საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ამინდს ვერ შეაქმნის.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გაიწვიეს სახალხო მოსამართლე...

რუსთავის სახალხო მოსამართლე ზ. ცქიტიშვილი ვადამდე გაიწვიეს თანამდებობიდან. საბჭოთა სასამართლო ორგანოთა პრაქტიკაში ეს საგანგებო შემთხვევაა.

მოსამართლის რა მოქმედება თუ უმოქმედობა გახდა ასეთი გადაწყვეტილების მიღების მიზეზი? ერთადერთი და ძირითადი მიზეზია უსაფუძვლო განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გამოტანა. ეი რამდენიმე მაგალითი, ახლა უკვე ყოფილი, სახალხო მოსამართლის მუშაობის პრაქტიკიდან.

მანამდე ბოროტი ხულიგნობისათვის ნასამართლევ ა.-ს მიუსაჯეს წლინახევრით თავისუფლების აღკვეთა. ასეთივე დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფ ბ.-ს, რომელმაც ერთ-ერთ ბინაში ფანჯრის მინა ჩაამტვრია, ორი წლით გამასწორებელი სამუშაო ადგილის მიუთითეს. ბ. ორივე ბრალდებით ერთ დროს გაასამართლეს. ბ. ისევ ხულიგნობდა, ისევ ფანჯრის მინა ჩაამტვრია, ისევ გაასამართლეს, მაგრამ ამჯერად ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ასეთი ფაქტები ბევრია. ისინი ადასტურებენ, რომ ზ. ცქიტიშვილი ირღვევდა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებს, ირღვევდა სასამართლოს ავტორიტეტი.

ზ. ცქიტიშვილი, რომელმაც ირღვია საკუთარი უფლებამოსილება, ხშირად ირღვია სასამართლოს ავტორიტეტი, ვერ ხედავდა ან ვერ ხედავდა ან ვერ ხედავდა ან

საერთაშორისო ცხოვრება

დელეგაციის ჩვენება

გავიდა წლები, არც ისე ბევრი, მაგრამ არც ცოტა, ცალკე გაზომვებია, თბილმა ნაკადმა ჩამოუარებინა მამადავითის აღმართებს, აშრიალებენ ჭადრები თბილისის ჭიჩებში, აყვავდა იასამანი თბილისის ბაღებში. ნელი ნაბიჯით მივყვებით რუსთაველის გამზირს მე და ივიკოს გადამდგარი გენერალი, აშკამდ სენატორი მუჭსინ ბათური. ჩაველაპარაკეთ „ორიანტის“ ყოფილ შენობას, სადაც 1920 წელს რამოენიმე ხანს ცხოვრობდა ოსმალეთის დიქტატორი პირველი მსოფლიო ომის დროს ენვერ-ფაშა. ქაშვეთის წინ გამახსენდა ბავშობაში ნანახი: როგორ მიასვენებდნენ რუსთაველის გამზირით ენვერ-ფაშას თანამოსანგრეს ჯემალ-ფაშას, რომელიც თბილისში მოკლეს პატრი დიდისა და ილიკოსების ჭიჩების ქუთხეში (ამჟამად ძერჟინსკისა და ჩაიკოვსკის ჭიჩების ქუთხე).

ჯიხვსნი ჩემს სტუმარს, თუ ვინ იყო რუსთაველი, რატომ გვიყვარს ილია და აკაკი, როგორ უმღერდა მთებს ვაჟა-ფშაველი, სად იყო მიჯაჭვული ამირანი. მისმენს მუჭსინ ბათური, ყურადღებით მისმენს. „ჩვენ კიდევ ძალიან ცოტად ვიცნობთ ერთმანეთს, — მეუბნება სენატორი. — მომავალში ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ჩვენმა ხალხებმა უკეთ გაიცნონ ერთმანეთი. ურთიერთობის გაღრმავებისაკენ უნდა მივიდეთ. ორივე მხარეს ბევრი აქვს გასაკეთებელი. ბევრი თანამშრომლობა შეიძლება განვითარდეს ეკონომიკის, კულტურის, ჯანდაცვის, სპორტის სფეროებში. ჩვენ ხომ ერთ ოლიმპიურ ოჯახში ვცხოვრობთ. ჩვენ ხომ ერთად ვიწყებთ ოლიმპიურ ოლიმპიადებს